ვახტანგ ბერიშვილი,

კავკასიის ბიზნეს სკოლის პროფესორი

2024 წლის აპრილში, ერასმუს+-ის აკადემიური პერსონალის მობილობის პროგრამის ფარგლებში, ვიმყოფებოდი ინჰოლანდის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში, ნიდერლანდები (Inholland University of Applied Sciences, Netherlands)

ვიზიტის დროს მან ჩავატარე ლექციები მენეჯერული კონტროლისა და კაპიტალის ღირებულების შესახებ ალკმარისა და ჰარლემის კამპუსებში, ბიზნესის სპეციალობის სტუდენტებისთვის.

ლექციებზე სტუდენტები გაეცნენ მოკლე ინფორმაციას საქართველოსა და კავკასიის უნივერსიტეტის შესახებ. სალექციო თემები მენეჯერული კონტროლის ინდიკატორებსა და კაპიტალის სხვადასხვა კომპონენტების ღირებულებას, მათი გამოთვლის მეთოდებსა და მნიშვნელობას ეხებოდა.

ვიზიტის დროს შევხვდი ადგილობრივ აკადემიურ პერსონალსა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. განვიხილეთ საერთაშორისო ურთიერთობებისა და მსგავსი ვიზიტების დიდი მნიშვნელობა, საერთო კვლევებისა და სტუდენტების საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის შესაძლებლობები.